

**STRUCTURE AND FUNCTIONING OF DOUBLE NEGATION
IN MODERN ENGLISH**

ორმაგი უარყოფის სტრუქტურა და ფუნქციონირება
თანამედროვე ინგლისურ ენაში

Tamar Jojua

PhD in Education,
Sukhumi State University,
A. Politkovskaia 61, Tbilisi, 0186, Georgia,
+995 599 565 709, tamrikojojua@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-1665-3041>

Maya Daraselia

PhD in Philology,
Associate Professor of Sukhumi State University,
A. Politkovskaia 61, Tbilisi, 0186, Georgia,
+995 577 170 727, m.daraselia17@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-4395-6451>

Abstract. Linguistic negation belongs to the group of universals that is common for all languages.

Double negation in English, as the complex and multifaceted linguistic phenomenon is characterised by a wide spectrum of functioning in the language. It has always been the issue of particular interest to linguists. In speech double negation may be expressed explicitly, implicitly and in some cases may bear the stylistic colouring as well. In modern English its functioning is mainly directed to the realization of two goals 1) in the sentence two or more negative words cancel each other and the sentence acquires opposite- positive meaning, 2) Two or more negatives in the sentence according to the certain context give more negative effect to the sentence. Double negation can mark the forms of dialects and informal speech. Such kind of diversity of double negation occurs quite often in English that contradicts norms and usage of communicative activities based on the theories and principles traditionally formulated in English grammar course books which strongly advocate for the correct acquisition of the language.

Keywords: Linguistics, Negation, Double negation, Functioning, litotes

თამარ ჯოჯუა

განათლების დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+995 599 565 709, tamrikojojua@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-1665-3041>

მაია დარასელია

ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+995 577 170 727, m.daraselia17@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-4395-6451>

აბსტრაქტი. ლინგვისტური უარყოფა მიეკუთვნება უნივერსალიათა იმ ჯგუფს რომელიც ყველა ენას გააჩნია.

ორმაგი უარყოფისთვის, როგორც კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი ლინგვისტური ერთეულისთვის, დამახასიათებელია მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი. ლინგვისტებისათვის ის ყოველთვის წარმოადგენდა დიდი ინტერესის საგანს. ორმაგი უარყოფა მეტყველების პროცესში შესაძლებელია სიტყვაში გამოხატული იყოს იმპლიციტურად, ექსპლიციტურად, ახასიათებდეს სტილისტიკური შეფერილობა.

თანამედროვე ინგლისურში მისი ფუნქციონირება ძირითადად მიმართულია ორი მიზნის განხორციელებისაკენ: 1) წინადადებაში ორი ან მეტი უარყოფითი მნიშვნელობის შემცველი სიტყვა გაანეიტრალებს ერთმანეთს და რჩება დადებითი მნიშვნელობის შემცველი აზრი, წინადადების შინაარსი იძენს საპირისპირო, დადებით ეფექტს; 2) ორი და მეტი უარყოფა წინადადებაში შესაბამისი კონტექსტიდან გამომდინარე კიდევ უფრო აძლიერებს მოცემული წინადადების ნეგატიურ მნიშვნელობას. ენაში მას შეუძლია მოახდინოს დიალექტური და არაოფიციალური მეტყველების ფორმათა მარკირება. ორმაგი უარყოფის ასეთი მრავალგვარობა საკმაოდ ხშირი მოვლენაა ინგლისური ენისთვის, რაც ერთგვარ წინააღმდეგობაშია რეალურ, ხშირად შემხვედრ სამეტყველო აქტივობასთან (სამეტყველო უზუსი) და იმ დებულებებთან თუ რეკომენდაციებთან რომლებიც ინგლისური ენის გრამატიკულ სახელმძღვანელოებში ტრადიციულად ფორმირებულია და დაკავშირებულია ენის კორექტულ დაუფლებასთან.

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, უარყოფა, ორმაგი უარყოფა, ფუნქციონირება, ლიტოტესი.

შესავალი. უარყოფის ლინგვისტური კატეგორია თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მე-3 საუკუნეში ჩვ.წ. უძველესი ინდოელი და ბერძენი ფილოსოფოსების მიერ. მოცემული ენობრივი მოვლენა, მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების კვლევა და ანალიზი ენათმეცნიერების ფართო წრისთვის მუდმივად აქტუალურ საკითხად რჩებოდა და დღემდე რჩება. მის შესწავლას მრავალი სამეცნიერო კვლევა და დისკუსია უკავშირდება. ლინგვისტური უარყოფა განეკუთვნება იმ უნივერსალური ერთეულების ჯგუფს რომელიც ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი. მას გააჩნია ლოგიკურ-ფილოსოფიური საწყისი, რომელიც აღიქმება როგორც ინდიკატორი, რომელიც სხვადასხვა ენობრივი საშუალებების დახმარებით მიუთითებს, რომ კომუნიკანტის მიერ ზეპირი თუ წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული გამონათქვამის შემადგენელ ელემენტებს შორის არსებული კავშირი ცხადყოფს, რომ ამა-თუ იმ საგნის, ნიშნის, მოვლენის, ან ქმედების არსებობა, მიმდინარეობა უარყოფილია (ჯოჯუა & თოფურიძე, 2012: 113).

მეთოდები. მოცემული ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: სპეციალური ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი დიაქრონიისა და სინქრონიის ჭრილში, სტრუქტურულ-ლინგვისტური ანალიზი, სინტაქსური ანალიზი, კლასიფიკაცია, ფუნქციური ანალიზი.

მსჯელობა და შედეგები. ლინგვისტიკაში, ფსიქოლოგიური კონცეფციის მომხრეები უარყოფას განმარტავდნენ, როგორც ადამიანის ფსიქიკის სუბიექტურ გამოვლინებას, როგორც განსხვავებული გრძნობების გამოხატველ რეაქციას, რომელიც მოსაუბრეს უჩნდება, წინააღმდეგობის, აკრძალვის, იმედგაცრუების, დაპირისპირების, მკვეთრად

მიუღებელის

წარმოსაჩენად.

(<http://www.classes.ru/grammar/134.Reformatsky/worddocuments/81.htm>).

ფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად, უარყოფა არ წარმოადგენს რეალობის ასახვას, არამედ ის ადამიანის ფსიქიკის, მისი ფსიქოლოგიური და ემოციური გრძნობების გამოვლინებაა.

ინგლისურ ენაში უარყოფის გადმოცემის საშუალებათა კლასიფიკაციისას ლინგვისტთა შორის აზრთა გარკვეული სხვადასხვაგვარობა არსებობს. მათი ერთი ნაწილი (Бархударов, 1973: 423) გამოყოფს უარყოფის გადმოცემის სამი სახის საშუალებას: უარყოფითი ნაცვალსახელები, ზმნიზედები და კავშირები. სხვები კი (Бондаренко, 1983: 210) გამოყოფენ უარყოფითი აფიქსების, ნაცვალსახელების, ზმნიზედების, კავშირების გარდა წინდებულებსა და უარყოფის გადმოცემის იმპლიციტურ საშუალებებს.

უარყოფითი წინადადებები იყოფა ზოგად და კერძო უარყოფითზე. ზოგადი უარყოფითი წინადადება შეიცავს შემასმენელს უარყოფით ფორმაში მაგ; He was not only the city's oldest and most illustrious physician, he was also it's most fastidious man. (Marquez, 1985: 5)

კერძო უარყოფითში კი, უარყოფა მიმართულია მეორეხარისხოვან წევრზე, შემასმენელი კი მტკიცებით ფორმაშია მაგ; Jane knew well, no jail was ever more secure (Bronte, p.9). საილუსტრაციოდ შეგვიძლია ისეთი მაგალითის მოყვანა როდესაც ერთი აზრობრივად უარყოფითი შინაარსის მატარებელი განაცხადი შეიძლება გადმოცემული იყოს ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრის მეშვეობით (მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური):

- ❖ Michael Palin did not pass his exam.
- ❖ Didn't Michael Palin pass his exam?
- ❖ I reject the idea that Michael Palin passed his exam.
- ❖ Michael Palin denied passing his exam.
- ❖ Michael Palin hardly passed his exam.
- ❖ Michael Palin can't have passed his exam.
- ❖ Which exam didn't Michael Palin pass?
- ❖ Michael Palin never passes his exam.
- ❖ Michael Palin may not pass his exam.

უარყოფის გადმოცემის მორფოლოგიურ საშუალებად მიჩნეულია აფიქსაცია, რომელიც პრეფიქსებისა და სუფიქსების სახითაა წარმოდგენილი. მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ინგლისურ ენაში სიტყვათწარმოების პროცესში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი როგორც წესი არ აწარმოებენ მეტყველების ახალ ნაწილებს, პრეფიქსებით წარმოებული ახალი სიტყვები იმავე მეტყველების ნაწილებს განეკუთვნებიან: Order-disorder, legal-illegal, appear-disappear, possible-impossible, direct-indirect, understand-misunderstand. Powerless, useless, homeless, hopeless, endless – unending, profitless – unprofitable.

უარყოფის გადმოცემის ლექსიკურ საშუალებებს მიეკუთვნებიან უარყოფითი სემანტიკის მატარებელი ისეთი ზმნები როგორებიცაა: to doubt, to deny, to fail, ასევე ზოგიერთი არსებითი სახელი: failure, lack და უარყოფითი ზმნიზედები hardly, barely, scarcely. უარყოფითი ნაცვალსახელი no და მისი წარმოებულები: nobody, nothing, nowhere:

ლექსიკურ საშუალებებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ ე. წ. უარყოფითი სემანტიკის მქონე ფრთოსანი სიტყვები, სხარტი გამონათქვამები, ანდაზები, რომლებიც წინადადების სახით გამოიყენებიან შესაბამის საკომუნიკაციო სიტუაციებში (Паранук, Хабекирова & Аджинова, 2004: 56):

1. A forced kindness deserves no thanks.

2. A beggar can never be bankrupt.
3. A clean hand wants no washing.
4. A cracked bell can never sound well.
5. A guilty conscience needs no accuser.
6. All men can't be first.
7. All are not saints that go to church.
8. An ill wound is cured, not an ill man.
9. Ask no questions and you will be told no lies.
10. Beggars can not be choosers.

ლინგვისტების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს წარმოადგენს ორმაგი უარყოფა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრეული და ლინგვისტური თვალსაზრისით ზოგადად აღიარებული განმარტება ურმაგი უარყოფისა ეკუთვნის ცნობილ დანიელ ლინგვისტს ო. იესპერსენს (1917: 63), რომლის თანახმადაც, „ყველა ენაში ორი უარყოფა თუ ის მიმართულია ერთი და იმავე სიტყვისკენ მას მტკიცებით მნიშვნელობას ანიჭებს;“ ეს ხდება მაშინ როდესაც უარყოფითი ნაწილაკი *not* დგას უარყოფითი სემანტიკის მატარებელი სიტყვის გვერდით. ორი უარყოფა, ერთმანეთის ნიველირებას ახდენს და დადებითი პერცეფციის მაფორმირებელ ფუნქციას იძენს. ის წინადადებას მტკიცებით ფორმას ანიჭებს.

ორმაგი უარყოფა, როგორც ლინგვისტური ფენომენი კვლავ საკამათო საკითხად რჩება. ზოგადად ინგლისური ენის ნორმატიული გრამატიკის სახელმძღვანელოებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ორმაგი უარყოფა ერთ წინადადებაში წარმოადგენს ნორმიდან გადახვევას და არასწორია. მური (Moore, 1992: 305-309), ფრეიზერი, კლიფტონი. რიჩი და დაფი (Frazier, Clifton, Rich & Duff, 2018: 160-194) ხაზგასმით აღნიშნავენ რომ ეს ლინგვისტური ფენომენი მეტყველებაში, უმეტეს შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას და საკომუნიკაციო პარტნიორმა შესაძლებელია, რომ არასწორად გაიგოს მასთან მოსაუბრის ან რომელიმე ნაწარმოების კითხვისას მწერლის განზრახვა. ასეთ დროს შესაძლებელია საჭირო გახდეს ჩაკითხვა დაზუსტების სახით, რა დროსაც ვდგებით კოგნიტიური ხასიათის პრობლემის წარმოქმნის წინაშე, ხოლო კოლოკვალურ მეტყველებაში კი რეციპიენტს მოუწევს გადაწყვიტოს გზავნილის იტერპრეტირება პოზიტიურ თუ ნეგატიურ ჭრილში მოახდინოს.

ორმაგი უარყოფის სტატუსი საკმაოდ მკაფიოდაა განსაზღვრული ტრადიციულ ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში: ერთ წინადადებაში ორმაგი უარყოფა ნორმიდან გადახვევაა, ორი უარყოფა ერთად გარდაიქმნება დადებითი მნიშვნელობის მატარებელ ელემენტად (Seright, 1966: 123).

პრესკრიპტიული გრამატიკისა და სოციოლინგვისტიკის წარმომადგენლებისათვის ერთ წინადადებაში ორი ან მეტი უარყოფის არსებობა საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. პრესკრიპტიული გრამატიკის წარმომადგენლები ავითარებენ ისეთ თეორიას, რომ ორი უარყოფა მსგავს წინადადებაში *I can't see no animals* ----- ნიშნავს *I can see animals*.

ამ ტერმინში ლინგვისტიკაში აღნიშნება ორი ენობრივი მოვლენა:

1. წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკის ან უარყოფითი აფიქსის (მორფემის) არსებობა ერთდროულად მათ გამაძლიერებლებთან ერთად უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების სახით.

2. წინადადებაში ერთი წევრის ან წევრთა ჯგუფთან მიმართებაში ორი უარყოფის არსებობა.

პირველ შემთხვევაში უარყოფასთან ერთად მისი გამაძლიერებლებიც უარყოფით ფორმაში გვხვდებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება უარყოფის უარყოფა. უარყოფის გამეორება წინადადების ორ წევრთან მონონეგატიური ენებისათვის, როგორცაა

ინგლისური, ნორმიდან გადახვევას წარმოადგენს, ზმნის მტკიცებითი და უარყოფითი ფორმების დიფერენციაციიდან გამომდინარე. ზოგჯერ მეტყველებაში ორმაგი უარყოფა წინადადებაში აღიქმება როგორც ავტორის მიერ შეგნებულად გამოყენებადი ხერხი, რათა ხაზი გაესვას მოსაუბრეთა დიალექტის თავისებურებებს და მათი განათლების დონეს:

“It wasn't no porpoise,” Cartwright said.

“I ain't never heard a porpoise or even a whale make that kind of noise against a ship.” (Fleming, p. 268). ორმაგი უარყოფა შეიცვალა ერთი უარყოფით წინადადებაში.

დიალექტებში კი რჩება: “The main battery ain't shootin' it at nothin'” (Fleming, 2017: 410).

უარყოფის უარყოფა წარმოადგენს ორმაგი უარყოფის მრავალსახეობას. ამ შემთხვევაში უარყოფა მიემართება წინადადების ერთსა და იმავე უარყოფილ წევრზე. ადგილი აქვს ორი უარყოფის ნიველირებას, როდესაც ფორმით უარყოფითი წინადადება მტკიცებით შინაარსს იძენს, მაგ: “It was very untidy, but not uncomfortable.” (Maugham, 2008: 130).

ორმაგი უარყოფა შეიძლება შეგვხვდეს რთული შემასმენლში, კერძოდ, შედგენილ ზმნურ შემასმენელში. როდესაც უარყოფით ფორმაშია ერთდროულად დამხმარე და ძირითადი ზმნები, ინფინიტივიანი ნაწილი შედგენილი ზმნური შემასმენლისა. ამგვარი ორმაგი უარყოფა ახდენს ნეგატიური კონტექსტის გაბათილებას და მტკიცებითი განაცხადის გაფორმებას მაგ: “I don't mind my books being dirty, but I hate not being able to find them” (Maugham, 2008: 189).

ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, მეტყველებაში უარყოფის უარყოფა ყოველთვის არ ნიშნავს მტკიცებას. მაგ He is not unhappy-ის არ არის უბედური, ვერ იქნება აღქმული ისე, რომ ის აუცილებლად He is happy--ის ბედნიერია ნამდვილად. ზემოთ მოყვანილი ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადება ვერ გახდება ეკვივალენტური იმ წინადადებისა რომელიც არ შეიცავს ორმაგ უარყოფას, თუმცა ეს ვერ გამორიცხავს იმას, რომ უარყოფის უარყოფა არ უტოლდება მტკიცებას: ორი უარყოფის შეთავსების შედეგად (is not unhappy) გამონათქვამი იძენს დადებით შინაარსს, თუმცა არ არის ეკვივალენტური საწყისი ფორმისა (happy). ამ ტიპის წყვილები strong – not-strong (weak), young – not-young (old) შესუსტებული ოპოზიციის მატარებლები არიან და არ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული ანტონიმური მნიშვნელობები.

ვ. ბონდარენკო (1983:133) თავის კვლევებში გამოყოფს ორმაგი უარყოფის სემანტიკის ოთხ ძირითად მახასიათებელს, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ლინგვისტების მიერ ჩამოყალიბებული შეხედულების სინთეზს ამ მოვლენასთან მიმართებაში:

- ❖ უარყოფის უარყოფა ყოველგვარი შეფერილობის გარეშე მტკიცების ტოლფასია;
- ❖ ამ ტიპის წინადადებები, რომლებიც ორმაგ უარყოფას შეიცავენ მაგ: “He could hardly not to recognize him. It is impossible not to believe he is sincere” გამოხატავენ კატეგორიულ, ხაზგასმულ მტკიცებას;

- ❖ როცა საქმე გვაქვს ორი უარყოფის ურთიერთანულირებასთან ისეთ ფრაზებში როგორებიცაა, მაგ; not without pride, not unpleasant და ა.შ. ხდება შესუსტებული, არაკატეგორიული მტკიცებითი ფორმის წარმოქმნა, რომელსაც ნაკლებად მკვეთრად გამოხატული პირდაპირი მტკიცების ეფექტი გააჩნია: This business is not unprofitable რაც შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც «ეს საქმე მომგებიანია, თუმცა არც ძალიან» (Jespersen, 2006: 105);

- ❖ უარყოფის უარყოფა თავისი მნიშვნელობით ან მტკიცებითი ფორმის გამამლიერებელია, ან პირიქით ასუსტებს მას.

„ორმაგი უარყოფა ხასიათდება არა მარტო აზრობრივი გარდაქმნით, არამედ მას სტილისტური შეფერილობაც გააჩნია და განეკუთვნება აქცენტურ-უარყოფითი ემფაზის

გამოხატვის საშუალებებს; გადმოიცემა შერბილებული, არაკატეგორიული მტკიცება, სადაც რაიმე კონკრეტულის შეფასებისას ხაზგასმულია თავშეკავება, მერყეობა, დაშვება, ასევე იუმორისტული და ირონიული ეფექტი. ეს ფაქტორები კი გამონათქვამს ანიჭებენ ერთგვარ ორაზროვნებას, რაც ხშირად შემხვედრია ყოველდღიურ მეტყველებაში, მხატვრულ ლიტერატურაში, სამეცნიერო პროზაში და საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში. მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი სტრუქტურები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული სტილისტური ხერხის-ლიტოტესის სახელით არის ცნობილი, ლიტოტესი გვევლინება იმ ლინგვისტურ ხერხად რომლის მემვეობითაც ხდება გადაჭარბებული კატეგორიულობის თავიდან აცილება. გამონაკლის წარმოადგენს ოფიციალურ-საქმიანი სტილი“. (Philippova, 2003: 1-8). ამ მოდელის სტრუქტურა ასეთია: უარყოფა + Neg. V/adj./N.; “You cannot forbid a middle-aged professor of Pathology from going for a little walk if he wants to” (Maugham, 2008: 149)

აქამდე ჩვენ მოგვყავდა მაგალითები, როცა ლექსიკური უარყოფა მოსდევდა გრამატიკულს ინგლისურ ენაში ძალზე ხშირად შემხვედრია გრამატიკული უარყოფის შემცველი კონსტრუქციებიც, რომლებიც ლექსიკურს მოსდევენ. ზოგჯერ ასეთი ხერხი ინვერსიის სახელითაა ცნობილი და გამოიყენება ემფაზის გასაძლიერებლად რომელიმე განსაზღვრულ სიტყვაზე ან სიტყვაშეთანხმებაზე. ეს მოვლენა თვალნათელს ხდის უარყოფის გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნებას ინგლისურში, მაგ.: “Without them he wasn’t so homely” (Maugham, p. 324). ერთ-ერთ ასეთ უარყოფად ითვლება ე.წ. ‘ამყოლი’ უარყოფა (Yespersen, 2006: 386).ის ხასიათდება იმით, რომ not-ს მოჰყვება გამყოფითი შეთანხმებები neither... nor, ან c not even. “He paid no attention to his house, which was always in great disorder, nor to his food...”(Maugham, 2008: 210).

ორმაგი უარყოფის ერთ-ერთი სახეობა გვხვდება ისეთი გამონათქვამებში როგორცაა: cannot help doing something, მაგ: “... but on thinking it over I couldn’t help confessing that it was very natural” (Maugham, 2008: 339). ლინგვისტური ტექსტის დამუშავების პროცესში ორმაგი უარყოფა გამოიყენება როგორც აზრის გამოხატვის სტილისტიკური ხერხი გამოკვეთილი შეფერილობით. მტკიცება და მისი ორმაგი უარყოფა ლოგიკურად ერთნაირი მნიშვნელობისაა, მაგრამ სტილისტიკურად ემოციურ-ექსპრესიული ურთიერთობიდან გამომდინარე შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

ორმაგი უარყოფა გამოიყენება მაშინ როცა:

❖ მოსაუბრე არ არის დარწმუნებული იმაში, რომ კონკრეტული წინადადება (განაცხადი) სიმართლეს შეეფერება ან დარწმუნებულია, რომ ეს განაცხადი არ შეეფერება ჭეშმარიტებას. ამ შემთხვევაში მოსაუბრეს უწევს ლაკონურობისა და ინფორმატიულობის დარღვევა, ვინაიდან იძულებულია, რომ პატივი სცეს გამოთქმული აზრის სისწორეს, სიმართლეს; მაგ., თუ მოსაუბრე არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მეორე პიროვნება ბედნიერია, საუკეთესო საშუალება მისი აზრის ვერბალური გაფორმება ასე უფრო უპრიანი იქნება: He/She is not unhappy.

❖ მოსაუბრისთვის ცნობილია და მას ეჭვი არ ეპარება, რომ განაცხადი სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ ის იმდენად თავაზიანია, მორიდებული ან ფრთხილია, რომ თავს არიდებს აზრის პირდაპირ გამოხატვას. ორმაგი უარყოფა ამ სიტუაციაში არბილებს შექმნილ უხერხულ საკომუნიკაციო სიტუაციას. კონტექსტი რომელშიც ასეთი ორმაგი უარყოფა გამოიყენება უმეტესწილად მოიცავს პოლიტიკას, რელიგიას ან ლიტერატურულ კრიტიკას.

❖ ორმაგი უარყოფის ირონიულ კონტექსტში გამოიყენება დამოკიდებულია ვარაუდზე დაფუძნებულ ზოგად ცოდნას.

❖ სტილის იმპრესიულობა - ამ ტიპის ორმაგი უარყოფა წარმოიქმნება სტილისტური შეფერილობის გასაძლიერებლად, ან ნეგატიური კონტექსტიდან

გამომდინარე ვინმეს მიერ საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცება გაყალბების ან სტილისტური გაზვიადების ხარჯზე.

❖ არ არსებობს ექვივალენტური პოზიტიური გამონათქვამი ან არ არის შესაძლებელი, რომ პოზიტიური გამონათქვამი სათანადოდ გამოვიყენოთ მოცემულ კონტექსტში e.g. not undeserved, not unfounded, not unthinkable.

❖ სტრუქტურათა პარალელიზმი--ერთი გამონათქვამი ორმაგი უარყოფით დაწყვილებულია მეორე გამონათქვამთან რომელსაც უარყოფითი აფიქსი აქვს დართული მაგ; unexpected but not unwelcome, unlikely if not impossible.

❖ დროის მინიმიზაციისას, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისთვის პირდაპირი უარყოფის ან შეუსაბამობის კონტექსტში, მაგ. მოსაუბრის ორმაგი უარყოფა (X is not A) მოტივირებულია უფრო ადრინდელი X is A. He is unhappy. No, he is not unhappy. (Horn, 1991: 90–91)

დასკვნა. ჩატარებული კვლევის შედეგად ვასკვნიტ, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში კომუნიკაციის განხორციელებისას ორმაგი უარყოფა აღიქმება როგორც არანორმატიულ, თუმცა სავსებით დასაშვებ ლინგვისტურ მოვლენად, რომელიც ხშირად გვხვდება ინგლისურენოვან ფილმებში, მხატვრულ და მუსიკალურ ნაწარმოებებში, პოლიტიკოსების მეტყველებაში თუ ყოველდღიური კომუნიკაციური აქტივობის განხორციელების პროცესში. მისი ფუნქციონირება ძირითადად მიმართულია ორი მიზნის განხორციელებისაკენ:

1. წინადადებაში ორი ან მეტი უარყოფითი მნიშვნელობის შემცველი სიტყვა გაანეიტრალებს ერთმანეთს და რჩება დადებითი მნიშვნელობის შემცველი აზრი, წინადადების შინაარსი იძენს საპირისპირო, დადებით ეფექტს;

2. ორი და მეტი უარყოფა წინადადებაში შესაბამისი კონტექსტიდან გამომდინარე კიდევ უფრო აძლიერებს მოცემული წინადადების ნეგატიურ მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ლინგვისტური

ჯოჯუა, თ., & თოფურიძე, მ. (2012). უარყოფის ლინგვისტური კატეგორიის გადმოცემის საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული “ფილოლოგიური პარალელები”*. N5. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

Horn, L. (1991). The economy of double negation, in: L. Dobrin, et al. (Eds.), *Papers from the 27th Regional Meeting of the Chicago Linguistic Society, Parasession on Negation*, Chicago Linguistic Society, Chicago.

Frazier, L, Clifton, Ch. Jr., Rich, St., Duff, J. (2018). Anticipating Negation: The Dos and Don'ts of Neg Raising. *Syntax*. 21(2). 160-194. DOI: <https://doi.org/10.1111/synt>.

Moore M. (Fall, 1992). Double Negation. *ETC: A Review of General Semantics*. Vol. 49, No. 3. Published By: Institute of General Semantics.

Seright, O. D. (1966). *Double Negatives in Standard Modern English*. Vol. 41, No. 2 (May) Published By: Duke University Press.

- Philippova M. (2003). *Double and Multiple Negation in English*. Pp 1-8.
https://www.academia.edu/12946478/Double_and_Multiple_Negation_in_English
- Jespersen, O. (1917). *Negation in English and Other Languages*. Konelige Danske Videnskabernes Selskab. Historisk-filologiske Meddelelser I, 5. Copenhagen: Høst
- Jespersen, O. (2006). *Progress In Language, With Special Reference To English*. Publisher: Routledge, Taylor & Francis Group.
- Бондаренко, В. Н. (1983). *Отрицание как логико-грамматическая категория*.
- Бархударов, Л. С. (1973). *Штеллинг. Грамматика английского языка*. Москва: Высш. шк.
<http://www.classes.ru/grammar/134.Reformatsky/worddocuments/81.htm>
- Паранук, Л. Г., Хабекирова, З. С., & Адзинова, Ф. С. (2004). *Отрицание в монологической и диалогической речи*. Майкоп: Издательство АГУ.

მხატვრული

- Brontë, Ch. (2017). *Jane Eyre*.
- Marquez, G. G. (1985). *Love in the Time of Cholera*.
- Maugham, W. S. (2008)a. *Cakes and Ales*.
- Maugham, W. S. (2008)b. *The Complete Short Stories*. Volume III.
- Fleming, Th. (2017). *Time and Tide: A Novel of World War II*.

REFERENCES

Linguistic

- jojua, t., & topuridze, m. (2012). uarqopis lingvist'uri k'at'egoriis gadmotsemis sashualebebi tanamedrove inglisur enashi [Means of Expressing Linguistic Category of Negation in Modern English]. *sokhumis sakhelmts'ipo universit'et'i, kartuli enisa da k'ult'uris inst'it'ut'i, sametsniro shromebis k'rebuli "pilologiuri p'aralebi"* [Collection of Scientific Articles 'Philological Parallels', Sokhumi State University, Institute of Georgian Language and Literature]. N5. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- Horn, L. (1991). The economy of double negation, in: L. Dobrin, et al. (Eds.), *Papers from the 27th Regional Meeting of the Chicago Linguistic Society, Parasession on Negation*, Chicago Linguistic Society, Chicago.
- Frazier, L, Clifton, Ch. Jr., Rich, St., Duff, J. (2018). Anticipating Negation: The Dos and Don'ts of Neg Raising. *Syntax*. 21(2). 160-194. DOI: <https://doi.org/10.1111/synt>.
- Moore M. (Fall, 1992). Double Negation. *ETC: A Review of General Semantics*. Vol. 49, No. 3. Published By: Institute of General Semantics.
- Seright, O. D. (1966). *Double Negatives in Standard Modern English*. Vol. 41, No. 2 (May) Published By: Duke University Press.
- Philippova M. (2003). *Double and Multiple Negation in English*. Pp 1-8.
https://www.academia.edu/12946478/Double_and_Multiple_Negation_in_English
- Jespersen, O. (1917). *Negation in English and Other Languages*. Konelige Danske Videnskabernes Selskab. Historisk-filologiske Meddelelser I, 5. Copenhagen: Høst
- Jespersen, O. (2006). *Progress In Language, With Special Reference To English*. Publisher: Routledge, Taylor & Francis Group.
- Bondarenko, V. N. (1983). *Otricanie kak logiko-grammaticheskaja kategorija [Negation as a Logical-Grammatical Category]*.

- Barkhudarov, L. S. & Shtelling, D. (1973). *Shtelling. Grammatika anglijskogo jazyka [Grammar of the English Language]*. Moscow: Vyssh. shk.
<http://www.classes.ru/grammar/134.Reformatsky/worddocuments/81.htm>
- Paranuk, L. G., Habekirova, Z. S., & Adzinova, F. S. (2004). *Otricanie v monologicheskoi i dialogicheskoi rechi [Negation in Monologue and Dialogue Discourse]*. Maykop: Publishing House AGU.

Fiction

- Brontë, Ch. (2017). *Jane Eyre*.
- Marquez, G. G. (1985). *Love in the Time of Cholera*.
- Maugham, W. S. (2008)a. *Cakes and Ales*.
- Maugham, W. S. (2008)b. *The Complete Short Stories*. Volume III.
- Fleming, Th. (2017). *Time and Tide: A Novel of World War II*.